



ა(ა)იპ „ქალაქ გორის მუნიციპალიტეტის მერიის თენგიზ ბურჯანაძის სახელობის საფეხბურთო კლუბი დილა GEORGIA GORI CITI HALL Municipality NLP Football Club DILA under Tengiz Burjanadze”

,  
„სასტუმროს მომსახურების”  
გამარტივებული ელექტრონული ტენდერის  
სატენდერო დოკუმენტაცია

CPV55100000

ქ.გორი  
2016 წელი

## სარჩევი

1. ტექნიკური დოკუმენტაცია -----	3
2. ტექნიკური დავალება -----	3
3. ხელშეკრულების პროექტი -----	6
4. სატენდერო წინადადების ფასების ცხრილი დანართი N 1.....	10
5. რეკვიზიტები დანართი N2 ----- .....	11

## 1. ტექნიკური დოკუმენტაცია

- 1.1 პრეტენდენტს არ აქვს უფლება წარმოადგინოს ალტერნატიული სატენდერო წინადადება.
- 1.2 .პრეტენდენტმა სისტემის საშვალეებით უნდა წარმოადგინოს ფასების ცხრილი დანართი № 1 შესაბამისად, რეკვიზიტები დანართი № 2-ის შესაბამისად.
- 1.3 სატენდერო წინადადების საერთო და ერთეულის ფასის წარმოდგენა დასაშვებია მხოლოდ ლარებში.
- 1.4 სატენდერო წინადადებაში საერთო ფასი გამოსახული უნდა იყოს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შესყიდვის ობიექტის მიწოდებასთან დაკავშირებული ყველა გადასახადის გათვალისწინებით, **დ.დ.გ-ს ჩათვლით.**
- 1.5 დაფინანსების წყარო და ანგარიშსწორების პირობები:
  - 1.5.1. დაფინანსების წყაროს წარმოადგენს 2016 წლის ა(ა)იპ „ქალაქ გორის მუნიციპალიტეტის მერიის თენგიზ ბურჯანაძის სახელობის საფეხბურთო კლუბი დილა GEORGIA GORI CITI HALL Municipality NLP Football Club DILA under Tengiz Burjanadze” ადგილობრივი ბიუჯეტის სახსრებით.
  - 1.5.2. ანგარიშსწორება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორებით ლარში.
  - 1.5.3. ანგარიშსწორება მოხდება ეტაპობრივად მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან არაუგვიანეს 10 სამუშაო დღის განმავლობაში.

## 2. შესყიდვის ობიექტის ტექნიკური დავალება:

ა(ა)იპ „ქალაქ გორის მუნიციპალიტეტის მერიის თენგიზ ბურჯანაძის სახელობის საფეხბურთო კლუბი დილა GEORGIA GORI CITI HALL Municipality NLP Football Club DILA under Tengiz Burjanadze”-ს მიერ გამოცხადებული გამარტივებული ელექტრონული ტენდერის შესყიდვის ობიექტს წარმოადგენს ა(ა)იპ „ქალაქ გორის მუნიციპალიტეტის მერიის თენგიზ ბურჯანაძის სახელობის საფეხბურთო კლუბი დილას GEORGIA GORI CITI HALL Municipality NLP Football Club DILA under Tengiz Burjanadze”-ს გულის 22 კაციანი შემაღენლობის 2015-2016 წ.წ. საქართველოს ეროვნული ჩემპიონატის თამაშების წინ (სახლის თამაშები, სულ 7 თამაში, თამაშების კალენდარია: 2016 წლის 27 თებერვალი „დილა“-„ტორპედო“, 12 მარტი „დილა“-„ჩიხურა“, 2 აპრილი „დილა“-„სამტრედია“, 10 აპრილი „დილა“-„სიონი“, 23 აპრილი „დილა“-„საპოვნელა“, 8 მაისი „დილა“-„საბურთალო“, 22 მაისი „დილა“-„ზუგდიდი“). სასტუმროს მომსახურება 2 თამაშზე (27 თებერვალი „დილა“-„ტორპედო“, 12 მარტი „დილა“-„ჩიხურა“) 2 ჯერადი კვებით და 5 თამაშზე (2 აპრილი „დილა“-„სამტრედია“, 10 აპრილი „დილა“-„სიონი“, 23 აპრილი „დილა“-„საპოვნელა“, 8 მაისი „დილა“-„საბურთალო“, 22 მაისი „დილა“-„ზუგდიდი) 3 ჯერადი კვებით (გუნდის ექიმის მიერ გაწერილი მენიუს მიხედვით .მენიუ თან ერთვის). სასტუმროს უნდა გააჩნდეს ადგილზე კვების ბლოკი. სანიტარულად სუფთა ოთახები .ყველა ოთახს უნდა ჰქონდეს სველი წერტილი ცხელი -ცივი წყლით. ცხრა 2 ადგილიანი, ერთი 1 ადგილიანი და ერთი 3 ადგილიანი ნომრით. .კონდიციონერით. გათბობით, ინტერნეტი(wi-fi). ასევე სასტუმროს უნდა ჰქონდეს საკონფერენციო ოთახი. სასტუმრო უნდა მდებარეობდეს ქ გორში.

### მენიუ

26-27 თებერვალი და 11-12 მარტი

### ვახშამი

17.00

პური(თეთრი, სერი 150გრ) სოკოს წვნიანი(200გრ).

ქათმის ბარკალი შემწვარი(1კაცზე 1ცალი), მოხარშული ხბოს ხორცი მწვანილით(კაცზე 2ნაჭერი(200გრ),  
პიურე,წიწიბურა(100გრ),მწვანილის ასორტი, სპაგეტი, გახეხილი ყველი, ყველი(ნაკლებად მარილიანი100გრ), შემწვარი კალმახი(10ცალი),სალათი ცეზარი(150გრ),  
კ/პ სალათი(200გრ), კეჩუპი(არა ცხარე), წვენი(ვაშლის ან ალუბალი0.5ლ), ჩაი, ყავა, რძე(100მლ),  
კარაქი(15გრ), ჯემი(20გრ), ხაჭო(100გრ), არაჟანი(50გრ), თაფლი(20გრ),ქიშმიში(10გრ),  
ნიგოზი(20გრ),ხილი(ბანანი, ვაშლი1-1), ბორჯომი(0,5მლ), ლიმონი.  
წყალი(0.5მლ). უკრემო ნამცხვარი (კეკსი1)

## სადილი

### 10.00

გერკულესის ფაფა (წყალზე დამზადებული100გრ) ჩაი, ყავა, რძე(100მლ), ყველი(100გრ),  
კარაქი(15გრ), ჯემი(20გრ), ხაჭო(10გრ),არაჟანი(50გრ),  
ხლოპია(50გრ), ნიგოზი(20გრ), ქიშმიში(10გრ),ლიმონი. უკრემო ნამცხვარი(კეკსი1)  
ქათმის ბულიონი(200გრ),მოხარშული ხბოს ხორცი 2ნაჭერი(უცხიმო!!!!(200გრ), შემწვარი ქათმის  
ფილე 2ნაჭერი(150გრ),შემწვარი თევზი(100 გრ), სპაგეტი,გახეხილი ყველი.მწვანილის ასორტი. კ/პ  
სალათი(მწვანილების გარეშე200გრ), წიწიბურა(100გრ),პიურე(150გრ),  
წყალი(0,5მლ). წვენი(ვაშლი ან ალუბალი0,5მლ), ბანანი, ვაშლი.(1-1), პური (თეთრი,სერი)

(ყველა კერძი შეძლებისდაგვარად უცხიმოდ და უხახვოდ. ნაკლებად მარილიანი!!!)

## მენიუ

1-2 აპრილი , 9-10 აპრილი, 22-,23 აპრილი, 7- 8 მაისი, 21-,22 მაისი

## ვახშამი

### 17.00

პური(თეთრი,სერი150გრ)სოკოს წვნიანი(20გრ).  
ქათმის ბარკალი შემწვარი(1კაცზე 1ცალი), მოხარშული ხბოს ხორცი მწვანილით(კაცზე 2ნაჭერი(200გრ),  
პიურე,წიწიბურა(100გრ),მწვანილის ასორტი, სპაგეტი, გახეხილი ყველი, ყველი(ნაკლებად მარილიანი100გრ), შემწვარი კალმახი(100 გრ.),სალათი ცეზარი(150გრ),  
კ/პ სალათი(200გრ), კეჩუპი(არა ცხარე), წვენი(ვაშლის ან ალუბალი0.5მლ), ჩაი, ყავა, რძე(100მლ),  
კარაქი(15გრ), ჯემი(20გრ), ხაჭო(100გრ), არაჟანი(50გრ), თაფლი(20გრ),ქიშმიში(10გრ),  
ნიგოზი(20გრ),ხილი(ბანანი, ვაშლი1-1), ბორჯომი(0,5მლ), ლიმონი.  
წყალი(0.5მლ). უკრემო ნამცხვარი (კეკსი1)

## საუზმე

### 09.30

გერკულესის ფაფა (წყალზე დამზადებული100გრ), მოხარშული სოსისი(2ცალი საქონლის). შემწვარი

კვერცხი (2ცალი), ჩაი, ყავა, რძე(100მლ), ყველი(100გრ), კარაქი(15გრ), ჯემი(20გრ), ხაჭო(100გრ), არაყანი(50გრ), ხლოპია(50გრ), ნიგოზი(20გრ), ქიშმიში(10გრ), ლიმონი. უკრემო ნამცხვარი(კეკსი1) წყალი(0,5მლ). წვენი(ვაშლი ან ალუბალი0,5მლ), ბანანი, ვაშლი.(1-1). პური(თეთრი, სერი)

## სადილი

### 12.00

ქათმის ბულიონი(200გრ), მოხარშული ხბოს ხორცი 2ნაჭერი(უცხიმო!!!!(200გრ), შემწვარი ქათმის ფილე 2ნაჭერი(150გრ), შემწვარი თევზი(100 გრ), სპაგეტი, გახეხილი ყველი. მწვანე ხაჭაპურის ასორტი. კ/პ სალათი(მწვანე ხაჭაპურის გარეშე 200გრ), წიწიბურა(100გრ), პიურე(150გრ), წყალი(0,5მლ). წვენი(ვაშლი ან ალუბალი0,5მლ), ბანანი, ვაშლი.(1-1), პური (თეთრი, სერი) (ყველა კერძი შემდეგის დაგვარად უცხიმოდ და უხახვოდ. ნაკლებად მარილიანი!!!)

(ყველა კერძი შემდეგის დაგვარად უცხიმოდ და უხახვოდ. ნაკლებად მარილიანი!!!)

შესყიდვის ობიექტის სავარაუდო ღირებულება შეადგენს - 14740 ( თოთხმეტი ათას შვიდას ორმოცი) ლარს. დღგ-ს ჩათვლით.

სასტუმროს მომსახურება უნდა განხორციელდეს : 2016 წლის 26-27 თებერვალს (26 თებერვალს შესვლა 16.30 სთ- 27 თებერვალს გამოსვლა 12.30 სთ.) , 11-12 მარტს (11 მარტ შესვლა 16.30 სთ.- 12 მარტი გამოსვლა 13.30), 1-2 აპრილი (1 აპრილი შესვლა 16.30 სთ. 2 აპრილი გამოსვლა 14.30 სთ.), 9-10 აპრილი(9 აპრილს შესვლა 16.30 სთ. 10 აპრილს გამოსვლა 14.30 სთ), 22-, 23 აპრილს ( 22 აპრილს შესვლა 16.30 სთ. 23 აპრილს გამოსვლა 14.30 სთ.), 7- 8 მაისს( 7 მაისს შესვლა 16.30 სთ. 8 მაისს გამოსვლა 15.30 სთ.) და 21-, 22 მაისს(21 მაისს შესვლა 16.30 სთ. და 22 მაისს გამოსვლა 15.30 სთ.).

დამატებითი ინფორმაცია შეგიძლიათ მიიღოთ შემდეგი საკონტაქტო პირისაგან, სვეტლანა ზაუტაშვილი ტელ: 551 44 11 50

# ხელშეკრულება სახელმწიფო

## შესყიდვის შესახებ (პროექტი)

ქ.გორი

---2016 წელი

(ხელშეკრულების პირობების საბოლოო ვარიანტი შეიძლება დაზუსტდეს და დაიხვეწოს ტენდერში გამარჯვებულ პრეტენდენტთან ხელშეკრულების გაფორმების პროცესში)  
ერთი მხრივ, ა) იპ „ქალაქ გორის მუნიციპალიტეტის მერიის თენგიზ ბურჯანაძის სახელობის საფეხბურთო კლუბი დილა GEORGIA GORI CITI HALL Municipality NLP Football Club DILA under Tengiz Burjanadze“- (შემდგომში „შემსყიდველი“) წარმოდგენილი დირექტორის გიორგი ტულუშის სახით და მეორე მხრივ, \_\_\_\_\_ (შემდგომში „მიმწოდებელი“) წარმოდგენილი მისი დირექტორის \_\_\_\_\_ სახით, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის და მიმწოდებლის სატენდერო წინადადების საფუძველზე, NSPA----- გამარტივებული ელექტრონული ტენდერის ჩატარების შედეგად დებენ სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებას შემდეგზე:

### 1. ხელშეკრულების საგანი.

1.1. სასტუმროს მომსახურების შესყიდვა (CPV კოდი 55100000)

### 2. ხელშეკრულების ღირებულება

2.1. ხელშეკრულების ღირებულებაა ----- ლარი;

### 3. მიწოდების პირობები

3.1 შესყიდვის ობიექტის მიწოდება უნდა განხორციელდეს, „შემსყიდველის“ მოთხოვნის შესაბამისად 2016 წლის -----, უქმე დღეების ჩათვლით; საქართველოს ეროვნული თამაშების წინა დღეებში.

3.2 მიწოდების ადგილია: ქ.გორი

### 4. ანგარიშსწორების ფორმა და ვადები.

4.1. „მიმწოდებელთან“ ანგარიშსწორება ხორციელდება ეტაპობრივად, უნაღდო ანგარიშსწორებით ეროვნულ ვალუტაში.

4.2. „მიმწოდებელი“ ფაქტიურად გაწეული მომსახურების თაობაზე „შემსყიდველთან“ ადგენს მიღება-ჩაბარების აქტს, რის საფუძველზეც „მიმწოდებელი“ „შემსყიდველს“ წარუდგენს **საგადასახადო დოკუმენტს**.

4.3. „მიმწოდებელთან“ ანგარიშსწორება ხორციელდება მიმწოდებლის მიერ **საგადასახადო დოკუმენტი ს წარმოდგენიდან 10 საბანკო დღეში**.

### 5. მხარეთა უფლებები

5.1. „მიმწოდებელს“ უფლება აქვს:

5.1.1. სახელშეკრულებო ღირებულების ფარგლებში მოითხოვოს ფაქტიურად გაწეული მომსახურების ღირებულების დროული გადახდა;

5.2. „შემსყიდველს“ უფლება აქვს:

5.2.1. მოითხოვოს ხარისხიანი მომსახურების მოწოდება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებსა და ვადებში;

5.2.2. აწარმოოს ხელშეკრულების პირობების შესრულების მონიტორინგი

## **6. მხარეთა ვალდებულებები.**

6.1.1. დროულად და ხარისხიანად შეასრულოს ხელშეკრულებით განსაზღვრული პირობები.

6.1.2. დროულად განიხილოს „შემსყიდველის“ მიერ წამოჭრილი პრობლემები, რომლებიც დაკავშირებულია ხელშეკრულების შესრულებასთან;

6.2. „შემსყიდველი“ ვალდებულია:

6.2.1. უზრუნველყოს „მიმწოდებლისათვის“ თანხის გადახდა ხელშეკრულების პირობები სშესაბამისად;

6.2.2. დროულად განიხილოს „მიმწოდებლის“ მიერ წამოჭრილი პრობლემები, რომლებიც დაკავშირებულია ხელშეკრულების შესრულებასთან.

## **7. ფორს-მაჟორი.**

7.1 ხელშეკრულების პირობების ან რომელიმე მათგანის მოქმედების შეჩერება ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის გამო არ იქნება განხილული როგორც ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა ან დარღვევა და არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას.

7.2. ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი“ ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არის დაკავშირებული „შემსყიდველის“ ან/და „მიმწოდებლის“ შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული ქნეს ომით, სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და მომსახურების მიწოდებაზე ემბარგო სდაწესებით, „შემსყიდველის“ საბიუჯეტო ასიგნებები სმკვეთრი შემცირებით და სახვა.

7.3. ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებები სშესრულება, დაუყონებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ.

## **8. ხელშეკრულების პირობებისა და ღირებულების გადასინჯვა.**

8.1. თუ წინასწარი გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია;

8.2. სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების პირობების შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები „შემსყიდველი“ ორგანიზაციისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე

მუხლით დადგენილი შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

8.3. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული პირობების დადგომის შემთხვევაში, ხელშეკრულების ჯამური ღირებულების გაზრდა დაუშვებელია ხელშეკრულების ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობით.

8.4. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს წერილობითი ფორმით, „შეთანხმების“ სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

## **9. სადავო საკითხების გადაწყვეტა.**

9.1. „შემსყიდველმა“ და „მიმწოდებელმა“ ყველა ღონე უნდა იხმარონ, რათა შეთანხმებით მოაგვარონ ყველა უთანხმოება, დავა, წარმოქმნილი მათშორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული სხვა გარემოების ირგვლივ;

9.2. თუ „შემსყიდველი“ და „მიმწოდებელი“ ვერ შეძლებენ 30 დღის ვადაში სადავო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით, შეუძლია დადგენილი წესის მიხედვით მიმართოს საქართველოს საერთო სასამართლოს

## **10. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება**

10.1. თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარე წააწყდება რაიმე ხელშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, ამ მხარემ დაუყონებლივ უნდა გაუზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ. შეტყობინების მიმღებმა მხარემ 10 დღის ვადაში უნდა აცნობოს მეორე მხარეს თავისი გადაწყვეტილება, აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით.

10.2. იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო, მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების თაობაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანის (შეთანხმების) გზით.

## **11. მხარეთა მიერ ვალდებულებების შეუსრულებლობა**

11.1. „შემსყიდველი“ უფლებამოსილია ხელშეკრულებით ნაკისრი პირობებისა და ვალდებულებების შეუსრულებლობის ან/და არაჯეროვნად შესრულების გამო დააკისროს „მიმწოდებელს“ ჯარიმა სახელშეკრულებო ღირებულების 10 %-ის ოდენობით;

11.2. საჯარიმო თანხების გადახდა არ ათავისუფლებს მხარეებს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან;

12. ხელშეკრულების კონტროლი.

12.1. ხელშეკრულების შესრულების კონტროლს განახორციელებს ინსპექტირების ჯგუფი.

12.2. „შემსყიდველის“ ან მის წარმომადგენლებს უფლება აქვთ განახორციელონ გაწეული მომსახურების ხარისხის კონტროლი.

12.3. „მიმწოდებელი“ ვალდებულია საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს კონტროლი (ინსპექტირების) შედეგად გამოვლენილი ყველა დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრა.



### **13. ხელშეკრულების ენა.**

ხელშეკრულება და მასთან დაკავშირებული ყველა მოლაპარაკებები და სხვა დოკუმენტაცია, რომლებიც გაიცვლება მხარეთა შორის ფორმდება ქართულ ენაზე

### **14. ხელშეკრულების შეწყვეტა.**

14.1. ხელშეკრულება შეიძლება შეწყვეტილ იქნეს:

- ა) მხარეთა შეთანხმებით;
- ბ) საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით და ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში;

### **15. ხელშეკრულების მოქმედების ვადა.**

წინამდებარე ხელშეკრულება ძალაშია მხარეთა ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს

2016 წლის -- ----- ჩათვლით.

შემსყიდველი:

მიმწოდებელი:

ფასების ცხრილი

№	გასაწავი მომსახურების დასახელება	კაცთა რაოდენობა	დღეთა რაოდენობა	1 კაცის მომსახურების ფასი დღეში	1 კაცის მომსახურების ფასი 2 დღეში	სულ ფასი
1.	სასტუმროს დაბინავება და 2 ჯერადი კვებით უზრუნველყოფა	22	2			

ფასების ცხრილი

№	გასაწავი მომსახურების დასახელება	კაცთა რაოდენობა	დღეთა რაოდენობა	1 კაცის მომსახურების ფასი დღეში	1 კაცის მომსახურების ფასი 5დღეში	სულ ფასი
1.	სასტუმროს დაბინავება და 3 ჯერადი კვებით უზრუნველყოფა	22	5			

პრეტენდენტის დასახელება -----

ხელმოწერა -----

## რეკვიზიტები

პრეტენდენტის იურიდიული ფორმა და დასახელება:

ხელმძღვანელის სახელი და გვარი:

პრეტენდენტის იურიდიული ან/და ფაქტიური მისამართი:

საინდენტიფიკაციო კოდი:

ტელეფონის ნომერი:

ელექტრონული მისამართი:

მომსახურე ბანკი

ბანკის კოდი

ანგარიშის ნომერი

პრეტენდენტის ხელმოწერა -----